



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის  
თვითშეფასება

სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი





## სარჩევი

ნაწილი I: შესავალი .....	3
1. დაწესებულების აღწერა .....	3
2. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ.....	4
3. რაოდენობრივი მაჩვენებლები .....	6
3.1 პროგრამები .....	6
3.2. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური), მათ შორის დუალურად განსახორციელებელი პროგრამები.....	6
3.3. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროგრამები.....	8
3.4 პროფესიული სტუდენტები .....	10
4. დაწესებულების მისია .....	12
ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.....	14
5. სტანდარტები.....	14
ნაწილი III: დანართების სახით წარმოსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტების ჩამონათვალი.	39



## ნაწილი I: შესავალი

### 1. დაწესებულების აღწერა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც სამი დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გაერთიანება, თანამედროვე სახით, საბოლოოდ 2010 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა. აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი, ხოლო 2010 წელს, რეორგანიზაციის შედეგად, მას შემოუერთდა სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტს თავისი საქმიანობით წვლილი შეაქვს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. შესაბამისად, უნივერსიტეტი აცნობიერებს სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს დამდგრად განვითარებას. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებას და სხვადასხვადაინტერესებულ პირებთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

უნივერსიტეტის სწავლების ფართო პროფილი მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორც აკადემიური და სოციალური მეცნიერებები, განათლება, პოლიტიკის მეცნიერებები, ბიზნესი, სამართალი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია, აგრარული მეცნიერებები, მედიცინა.

უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულებს წარმოადგენს ცხრა ფაკულტეტი: ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი; პედაგოგიკის ფაკულტეტი; მედიცინის ფაკულტეტი; საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი; საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი; აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; საზღვაო-ტრანსპორტის ფაკულტეტი. მათგან რიგი ფაკულტეტები ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

უნივერსიტეტს თავისი საქმიანობით წვლილი შეაქვს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. შესაბამისად, უნივერსიტეტი აცნობიერებს სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს დამდგრად განვითარებას. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებას და სხვადასხვადაინტერესებულ პირებთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

დღესდღეობით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ერთ-ერთი მსხვილი პროვაიდერია რეგიონში. უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს 56 საგნობრივი პროგრამის და 11 მოდულური პროგრამის (რომელიც 2015-2016 წლებში დამატებულია ავტორიზაციით) განხორციელების უფლება, თუმცა მათგან ამ ეტაპზე ხორციელდება 11 საგნობრივი (მილევადი) და 10 მოდულური (მათგან 2 მილევად რეჟიმში) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.



2016 წლის 23 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გამართა შეხვედრა პროფესიული რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპის შედეგების შეჯამების, არსებულ გამოწვევებზე რეაგირების და რეფორმის სამომავლო ნაბიჯების განხილვის მიზნით. ამ შეხვედრაზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა სიგელი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

## 2. ზოგადინფორმაცია და წესებულების შესახებ

გთხოვთ, მიუთითოთ დაწესებულების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც მოქმედია საავტორიზაციო განაცხადის გაკეთების მომენტისთვის

სახელწოდება	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე	Akaki Tsereteli State University
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	უნივერსიტეტი/University
საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	თამარ მეფის ქუჩა, N59, ქ.ქუთაისი, 4600, საქართველო
ვებგვერდი	<a href="http://www.atsu.edu.ge">www.atsu.edu.ge</a>
ელ-ფოსტის მისამართი	<a href="mailto:atsu@atsu.edu.ge">atsu@atsu.edu.ge</a>
ტელეფონი	+995 431 24 21 73
ხელმძღვანელი	გიორგი ღავთაძე
ხელმძღვანელის ელ. ფოსტის მისამართი	<a href="mailto:rector@atsu.edu.ge">rector@atsu.edu.ge</a>
ხელმძღვანელის მობილური ტელეფონი	+995 577 73 41 13
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	კახა კუპატაძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ელ.ფოსტის მისამართი	<a href="mailto:kakha.kupatadze@atsu.edu.ge">kakha.kupatadze@atsu.edu.ge</a>
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მობ. ტელეფონი	+995 577 13 15 50
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირი პროფესიული განათლების ნაწილში	მურთაზ სვანაძე
პროფესიული განათლების ნაწილში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის ელ.ფოსტის	<a href="mailto:svanadzemurtaz@gmail.com">svanadzemurtaz@gmail.com</a>



მისამართი	
პროფესიული განათლების ნაწილში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის მობილური ტელეფონი	+995 577131503
რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი	ეკატერინე უკლება
რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მობილური ტელეფონი	+995 577 13 18 50
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	№82 11.07.2011
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	3.09.2018

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	შენობა-ნაგებობების ფართობი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა
ახალი	1-20	1-5	1-20	1-500 კვ.მ.	ერთმისამართზე
არსებული	21-50	6-10	21-50	501-1500 კვ.მ.	სხვადასხვა მისამართზე ერთმუნიციპალიტეტში
	51-150	11-15	51-100	1501-3000 კვ.მ.	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში
	151-500	16-20	101-150	3000-5000 კვ.მ.	
	501 დამეტი	21 დამეტი	151 დამეტი	5001 დამეტი კვ.მ.	



### 3. რაოდენობრივი მაჩვენებლები

#### 3.1 პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	0
მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	0
მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	1
მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	15
მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	4
ქართულიენის საგანმანათლებლო პროგრამა	0
მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	0
ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა	0
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	0
უცხოენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	0
პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების რაოდენობა (საგნობრივი)	11
ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების რაოდენობა (მოდულური)	9
მ.შ. დუალურად განსახორციელებელი პროგრამების რაოდენობა	0

#### 3.2. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური), მათ შორის დუალურად განსახორციელებელი პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალი (სპეციალური ფაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა ქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა (მისამართების შესაბამისად)	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები
1	ბაგა-ბადის აღმზრდელი პედაგოგი (მოდულური)	მეხუთე	ბაგა-ბადის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალი (030254)	111	141	ქართული	40	21	ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59; მე-2 კორპუსი



2	ბიბლიოთეკარი (მოდულური)	მეოთხე	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (070852)	94	124	ქართული	30	19	ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59; მე -2 კორპუსი
3	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი (მოდულური)	მეოთხე	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080381)	106	136	ქართული	20	0	ქ.ქუთაისი, ახალდაზრდობის ქუჩა მე - 2 შესახვევი № 23; მე - 13 კორპუსი
4	დეკორატიულ - გამოყენებითი ქსოვილები სპეციალისტი (მოდულური)	მეოთხე	დეკორატიულ -გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080359)	112	142	ქართული	20	19	ქ.ქუთაისი, ახალდაზრდობის ქუჩა მე - 2 შესახვევი № 23; მე -13 კორპუსი
5	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი (მოდულური)	მეხუთე	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080377)	117	147	ქართული	20	16	ქ.ქუთაისი, ახალდაზრდობის ქუჩა მე - 2 შესახვევი № 23; მე -13 კორპუსი
6	ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი (მოდულური)	მეოთხე	ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080384)	92	122	ქართული	30	13	ქ.ქუთაისი, ახალდაზრდობის ქუჩა № 98; მე - 8 კორპუსი
7	სისტემების ადმინისტრატორი (მოდულური)	მეხუთე	სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040162)	104	134	ქართული	30	19	ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59; მე - 2 კორპუსი



8	სარეკლამო აგენტი (მოდულური)	მეოთხე	სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020253)	95	125	ქართული	30	20	ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის პრ.21; მე - 18 კორპუსი
9	საბაჟო საქმე (მოდულური)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში (020368)	93	123	ქართული	40	19	ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის პრ.21; მე - 18 კორპუსი

### 3.3. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (საგნობრივი) პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	აგროლოჯისტიკის ოპერატორი (მიღვეადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ნოემბერში	მეოთხე	აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020363	50	ქართული	21	21	ქ.ქუთაისი. შერვაშიძის 53
2	მცირე ბიზნესის მწარმოებელი (მიღვეადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ნოემბერში	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020360	60	ქართული	20	8	ქ.ფოთი. კუნძულის უბანი. 9 აპრილის ხეივანი №11
3	სოფლისმეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი (მიღვეადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ნოემბერში	მეოთხე	სოფლისმეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020361	60	ქართული	15	14	ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის 21
4	ავტომობილის ზეინკალი (მიღვეადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ნოემბერში	მეოთხე	ავტომობილის ზეინკალის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040772	60	ქართული	10	5	ქ.ქუთაისი. ახალგაზრდობის გამზირი №98





5	ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი (მიღევადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ნოემბერში	მეოთხე	ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. <b>040767</b>	60	ქართული	15	9	ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი №98
6	მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი (მიღევადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ნოემბერში	მეოთხე	მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია <b>.040853</b>	60	ქართული	10	7	ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი №98
7	ელექტრიკოსი (მიღევადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ნოემბერში	მეოთხე	ელექტრიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია <b>040557</b>	60	ქართული	15	6	ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი №98
8	სავალი ნაწილის ტექნიკოსი (მიღევადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ნოემბერში	მეოთხე	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია <b>040769</b>	60	ქართული	10	5	ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი №98
9	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი (მიღევადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ნოემბერში	მეოთხე	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. <b>040955</b>	60	ქართული	10	6	ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი №98
10	ძრავის შემკეთებელი (მიღევადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ნოემბერში	მეოთხე	ძრავის შემკეთებელის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. <b>040770</b>	60	ქართული	10	7	ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი №98
11	საავტომობილო ზეზისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი (მიღევადი რეჟიმი) მთავდება 2018 წლის ოქტომბერში	მესამე	საავტომობილო ზეზისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია <b>040668</b>	45	ქართული	20	14	ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი №98



### 3.4 პროფესიული სტუდენტები

პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა- 416		
პროფესიული სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა-812		
	აქტიური	შეჩერებული
სულ პროფესიული სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	248	93
ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა	0	0
მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	0	0
ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა	0	0
უცხოელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	0	0
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	5	0

შენიშვნა: ამ მომენტისათვის პროფესიულ სტუდენტთა რეესტრში დამატებით კიდევ ირიცხება 47 სტუდენტი სამ მიღევად პროგრამაზე, რომელიც საავტორიზაციო განაცხადში არ მოხვდა.

### 4. ფართი და სასწავლო გარემო

ფართი	მოდულური პროგრამები	საგნობრივი პროგრამები
დაწესებულების შენობა-ნაგებობების ფართის ოდენობა კვ.მ-ში (მისამართების მიხედვით)	ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59; მე -2 კორპუსი - <b>255კვ.მ</b>  ქუთაისი. ახალგაზრდობის პრ. № 98, მე -7 კოპუსი. - <b>173კვ.მ</b>  ქუთაისი. ახალგაზრდობის მე-2 შეს. № 23, მე -13 კოპუსი. - <b>436კვ.მ</b>  ქუთაისი. ჭავჭავაძის 21, მე -18 კოპუსი. - <b>135 კვ.მ</b>  ქუთაისი. ახალგაზრდობის პრ. № 98, მე -8 კოპუსი. - <b>138კვ.მ</b>	ქ.ქუთაისი. შერვაშიძის ქ №53, მე -19 კორპუსი - <b>98კვ.მ</b>  ქუთაისი. ჭავჭავაძის გამზირი 21, მე -18 კორპუსი- <b>54კვ.მ</b>  ქ.ქუთაისი. ახალგაზრდობის გამზირი№98 მე -7კორპუსი - <b>411კვ.მ</b>  ქ.ქუთაისი. ახალგაზრდობის გამზირი №98 მე -7 ა კორპუსი <b>83კვ.მ</b>  ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი №98მე -8 კორპუსი <b>75კვ.მ</b>  ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის



		<p>გამზირი №98 მე -9კორპუსი<b>190კვ.მ</b></p> <p>ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი № 98 მე -11კორპუსი <b>60კვ.მ</b></p> <p>ქ. ფოთი. 9 აპრილისხეივანი,№11, მე - 20 კორპუსი<b>84კვ.მ</b></p>
<p>პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა A ტიპის სასწავლო გარემოში (მისამართების მიხედვით)</p>	<p>ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59; მე -2 კორპუსი- <b>65</b></p> <p>ქუთაისი. ახალგაზრდობის პრ. № 98, მე -7 კოპუსი- <b>20</b></p> <p>ქუთაისი. ახლგაზრდობის მე-2 შეს. № 23, მე -13 კოპუსი- <b>40</b></p> <p>ქუთაისი. ჭავჭავაძის 21, მე -18 კოპუსი-<b>50</b></p> <p>ქუთაისი. ახალგაზრდობის პრ. № 98, მე -8 კოპუსი-<b>30</b></p>	<p>ქ.ქუთაისი. შერვაშიძის ქ №53, მე - 19 კორპუსი-<b>24</b></p> <p>ქუთაისი. ჭავჭავაძის გამზირი 21, მე -18 კორპუსი-<b>15</b></p> <p>ქ.ქუთაისი. ახალგაზრდობის გამზირი№98 მე -7კორპუსი-<b>130</b></p> <p>ქ.ქუთაისი. ახალგაზრდობის გამზირი №98 მე -7 ა კორპუსი -<b>15</b></p> <p>ქ. ფოთი. 9 აპრილისხეივანი,№11 , მე - 20 კორპუსი<b>15</b></p>
<p>პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა B ტიპის სასწავლო გარემოში (მისამართების მიხედვით)</p>	<p>ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59; მე -2 კორპუსი- <b>35</b></p> <p>ქუთაისი. ახალგაზრდობის პრ. № 98, მე -7 კოპუსი- <b>15</b></p> <p>ქუთაისი. ჭავჭავაძის 21, მე -18 კოპუსი-<b>35</b></p> <p>ქუთაისი. ახალგაზრდობის პრ. № 98, მე -8 კოპუსი-<b>15</b></p>	
<p>პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა C ტიპის სასწავლო გარემოში (თითოეული ტიპის სასწავლო გარემოს და მისამართის მიხედვით)</p>	<p>ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59; მე -2 კორპუსი- <b>15</b></p> <p>ქუთაისი. ახალგაზრდობის პრ. № 98, მე -7 კოპუსი- <b>10-10</b> ადგილი <b>2</b> სხვადასხვა გარემოში.</p> <p>ქუთაისი. ახლგაზრდობის მე-2 შეს. № 23, მე -13 კოპუსი- <b>10-10</b> ადგილი <b>7</b> სხვადასხვა გარემოში.</p> <p>ქუთაისი. ახალგაზრდობის პრ. № 98, მე -8 კოპუსი-<b>15</b></p>	<p>ქ.ქუთაისი. ახალგაზრდობის გამზირი №98 მე -7 კორპუსი_<b>20-15-15</b> სამ სხვადასხვა გარემოში.</p> <p>ქ.ქუთაისი. შერვაშიძის ქ №53, მე - 19 კორპუსი_<b>20</b></p> <p>ქ.ქუთაისი. ახალგაზრდობის გამზირი №98 მე -7 ა კორპუსი_<b>15-10</b> ორ სხვადასხვა გარემოში</p> <p>ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი №98მე -8 კორპუსი_<b>15-15</b> ორ სხვადასხვა გარემოში</p> <p>ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი №98 მე -9კორპუსი_<b>20-20-15-10-15</b> ხუთ სხვადასხვა გარემოში</p>



		ქ.ქუთაისი.ახალგაზრდობის გამზირი № 98 მე -11 კორპუსი_15  ქ. ფოთი. 9 აპრილისხეივანი, №11 , მე - 20 კორპუსი_14
--	--	---

#### 4. დაწესებულების მისია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს და ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას.

უნივერსიტეტი ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები.

უნივერსიტეტის მისიაში გაცხადებულია საქართველოს უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნები: ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის, პიროვნული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს თავის საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებას და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

დღეისათვის მოქმედი მისიის განაცხადი წარმოადგენს 2010-2016 წლების პერიოდში გაცხადებული მისიის გადამუშავებულ ვარიანტს. მასში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის წინაშე არსებული ახალი გამოწვევები და პერსპექტივები, ხაზგასმულია უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა, სტუდენტთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობა, აკადემიურ პროგრამებთან ერთად, პროფესიული პროგრამების, როგორც ერთ-ერთი სახელმწიფო პრიორიტეტის, განხორციელება.

უნივერსიტეტის მთავარ ღირებულებებზე დაყრდნობით შემუშავებულია ძირითადი სამოქმედო პრინციპები:

1. პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე - მართვის ყველა დონეზე, ეფექტური ხელმძღვანელობის სისტემა და ხარისხის კულტურა აწსუ-ს თითოეული წევრის საქმიანობასა და უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესში.
2. საუნივერსიტეტო საზოგადოებაზე, სოციუმზე ორიენტირება - აწსუ-ს სტრატეგია დაფუძნებულია მოტივირებული სტუდენტების მოზიდვასა და გამორჩეული მკვლევარების



ჩართვაზე საქმიანობის ყველა სფეროში. აწესებს ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებასა და კეთილდღეობაზე, მხარს უჭერს პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების განაწილებას საუნივერსიტეტო მიზნების მიღწევასა და განხორციელებაში თანამშრომლების ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად.

3. ხარისხზე ორიენტირება - მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლა/სწავლების, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ისე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში.

4. აკადემიური თავისუფლება - აწესებს აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და სტუდენტები სრულიად თავისუფალნი არიან საკუთარი სამეცნიერო-აკადემიური პროფილის ფორმირებასა და განვითარებაში, ახალი ცოდნის შექმნაში, საზოგადოებაში მისი ღია განხილვისა და გავრცელებისათვის შესაძლებლობების ძიებაში. აკადემიური თავისუფლება უზრუნველყოფს აღმასვლას „თანამედროვე უნივერსიტეტიდან თავისუფალ აზროვნებამდე“.

5. ღიაობა და მრავალფეროვნების პატივისცემა - უნივერსიტეტის ყველა წევრისათვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანაბარი პირობების შექმნის მხარდაჭერა.

6. აკადემიური კულტურა - უნივერსიტეტში არსებული კოლეგიალური გარემო ეფუძნება აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ურთიერთპატივისცემას, ორმხრივ ინტერესს, მხარდაჭერასა და სამართლიან ურთიერთობებს.

7. გუნდურობა - თანამშრომლებს შორის ღია კომუნიკაცია, კოლეგიალობა, გუნდური მუშაობა, ჰარმონიული და დინამიკური ურთიერთობები.

8. სრულყოფილებისაკენ სწრაფვა - კვლევა ქმნის საფუძველს აწესებს სხვადასხვა აქტივობისათვის, მათ შორის პროგრამების განვითარებისა და საზოგადოებისათვის ცოდნის გავრცელების მრავალფეროვანი ფორმების შესათავაზებლად (ფორმალური და არაფორმალური განათლება, დისტანციური და ელ-სწავლება, უწყვეტი განათლება და ა.შ.). ტრადიციების პატივისცემითა და საკუთარი სრულყოფილებისაკენ სწრაფვით უნივერსიტეტი განაპირობებს საზოგადოების დინამიკურ განვითარებას.

უნივერსიტეტის მისია, ხედვა და სამოქმედო პრინციპები, ისევე როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმა, განისაზღვრა საუნივერსიტეტო საზოგადოების მაღალი ჩართულობით. იგი განიხილეს როგორც კოლეგიალური ორგანოების (აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, ფაკულტეტების საბჭოები), ასევე სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლების, აკადემიური პერსონალის და საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წევრების წინაშე.

მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის მისია, ხედვა და სამოქმედო პრინციპები ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, ცოდნის შექმნასა და გავრცელებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში.



## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

### 5. სტანდარტები

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლება მოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისად.

#### აღწერა:

აწსუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესი სამ ეტაპს მოიცავდა. უნივერსიტეტი 2011 წლიდან ახორციელებდა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მეოთხე და მეხუთე საფეხურის 53 საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების იდეა ემყარებოდა დაწესებულებაში არსებული კვალიფიციური კადრის, ინტელექტუალური საკუთრებისა და შესაბამისი გამოცდილების რაციონალურ გამოყენებას.

2015 წელს აწსუ-მ შეიმუშავა და ავტორიზაციით დაიმატა კიდევ 3 საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი არ ახორციელებდა მესამე საფეხურის პროგრამებს, რეგიონში კი არ არსებობდა დაწესებულება, რომელიც იმ დროისათვის ბაზარზე მოთხოვნად შესაბამის პროფესიულ (საავტომობილოგზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი) პროგრამას განახორციელებდა, აწსუ-მ რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავა და დანერგა შესაბამისი პროფესიული პროგრამა.

2015 წელს აწსუ-ში მოქმედ საგნობრივ პროფესიულ პროგრამებზე 200-მდე სტუდენტი ჩაირიცხა.

2015 წლიდან აწსუ განახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული 11 მოდულურ პროგრამას რომელთა დამატება განხორციელდა მოდულური პროგრამების დანერგვისა და ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უშუალო ხელშეწყობით. მათ შორის:

1. საბაჟო საქმის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი ს. სვანაძე;
2. სასტუმრო საქმის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი ნ. შარაბიძე;
3. სარეკლამო აგენტი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი თ. კუპრაშვილი;
4. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი ნ. ქობულაძე;
5. ბიბლიოთეკარი, პროგრამის ხელმძღვანელი - გ. ჭიჭინაძე;
6. სისტემების ადმინისტრატორი, პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ა. ძნელაძე;



7. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ნ. დოლიძე;
  8. ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი მ. გრძელიძე;
  9. დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი თ. მოსეშვილი;
  10. ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი ვ. წიქვაძე;
  11. სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი, პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი თ. კოჩაძე.
- აწსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად ჩაერთო მოდულური პროფესიული პროგრამების ახალი სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების შექმნის პროცესში.

დანერგვის პერიოდში მოხდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების ადაპტირება და აწსუს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცება. მოდულურ პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდა 2016 წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

სხვადასხვა დროს პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც ასევე აკადემიური საბჭოს მიერ იქნა დამტკიცებული.

ამ ეტაპისთვის აწსუ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შემუშავება ეფუძნებოდა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიას, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს, პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგებს.

საავტორიზაციო განაცხადით უნივერსიტეტი წარმოადგენს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ მიღწევად რეჟიმში არსებულ 11 პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ საგნობრივ საგანმანათლებლო პროგრამას და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 9 პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებიც შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის (ECVET) შესაბამისად.

საგნობრივ პროფესიულ პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა პროგრამით განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამით განსაზღვრულია სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

**დასტურდება:**

- პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამები (აკად. საბჭოს დადგენილება: #1(17/18) 15.09.2017 );
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები (აკად. საბჭოს დადგენილება: #41 (17/18) 29.12.2017წ.; აკად. საბჭოს დადგენილება #84 (17/18) 26.04.2018წ).

1.2. დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**აღწერა:**



დაწესებულებაში არსებობს სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგნობრივი და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, თუმცა არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის დისემინაციისა და საჯაროობის ხელშეწყობის მიზნით აწესდებიან ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს.

კერძოდ: პროფესიული პროგრამების სექტორის ხელმძღვანელობით შეიქმნა.

- მოდულური პროფესიული პროგრამების სარეკლამო ვიდეო-რგოლები(6 407 ნახვა);
- პროფესიული პროგრამების პორტალი.

შესაბამისად, დაინტერესებული პირების მხრიდან გაიზარდა ინტერესი პროფესიული პროგრამების მიმართ.

**დასტურდება:**

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:
- [http://atsu.edu.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=410&Itemid=572&lang=en#](http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=410&Itemid=572&lang=en#)
- <https://www.youtube.com/channel/UC5yHrqUR3OLtDXpU-dQpz3w>

1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

**აღწერა:**

სტანდარტის საფუძველზე შედგენილი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებით აგებულ თანმიმდევრულ სასწავლო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით დაშესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს და დასაქმების შესაბამის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, რასაც ადასტურებს დამსაქმებლებთან კომუნიკაციის ამსახველი ფაქტობრივი მასალა და ის ფაქტი, რომ პროგრამების განმახორციელებლები რიგ შემთხვევაში თავად წარმოადგენენ დამსაქმებლებს და შესაბამის დარგებში მოქმედ პრაქტიკოსებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო მოდულებსა და სასწავლო გეგმას. საგანმანათლებლო პროგრამა მოდულებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით და პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეულ დატვირთვის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც შეესაბამება კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**დასტურდება:**

- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო;
- პროფესიული სტანდარტები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტები;
- ჩარჩო დოკუმენტი საფუძველზე შექმნილი პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროფესიული საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამები.





1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

**აღწერა:**

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (თავი II მუხლი 2); პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტის (თავი III მუხლი 5; 6) და მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების (თავი II მუხლი 3) შესახებ. აღნიშნულის უზრუნველყოფის სახით აწსუ-ს გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიათან; სსიპ- საზოგადოებრივ კოლეჯთან „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

**დასტურდება:**

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“; ცვლილებებით დამტკიცებულია: აკად. საბჭოს მიერ; დადგენილება #52 (16/17); 27.07.2017;
- მემორანდუმები;

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

**აღწერა:**

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ნაწილს (თავი III, მუხლი 8);

**დასტურდება:**

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“; ცვლილებები დამტკიცებულია: აკად. საბჭოს მიერ; დადგენილება #52 (16/17); 27.07.2017

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**აღწერა:**

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA, რომელიც მოიცავს „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურას“. დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებულ აქტივობებს/ლონისძიებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებულ ძირითად ინდიკატორებს/კრიტერიუმებს. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურებს ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფები და აქვე მოცემულია ინფორმაცია ამ ჯგუფების შემადგენლობის, მისი ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ.



ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერის ჯგუფი კოორდინირებას უწევს ფაკულტეტების შიდა მხარდაჭერის ჯგუფებს სასწავლო პროცესის წარმართვაში და ეხმარება პროფესიულ მასწავლებლებს ელექტრონული საქაღალდის შექმნაში.

პროფესიული განათლების ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით დეკანის მოადგილეებს დაევალებათ პროფესიული პროგრამების დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგი და პროფესიული პროგრამების სექტორთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან კოორდინაცია.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებმა კოორდინირება გაუწიეს შიდა მონიტორინგის ჯგუფის სამუშაოებს აწსუ-ში არსებული რეგულაციის შესაბამისად.

შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:


- შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნა (ბრძანება შიდა მონიტორინგის ჯგუფის შესახებ),
- პროგრამისათვის განკუთვნილი ფართების მზადყოფნა,
- კალენდარული გეგმის შედგენა,
- ცხრილისა და შეფასების ინსტრუმენტების გაწერა,
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ მეცადინეობებზე დასწრების განრიგის შედგენა

ამასთანავე, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (თავი VIII) განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. გამოკითხვებისა და სტუდენტთა შედეგების მონიტორინგის საფუძველზე გამოიკვეთა ის მიმართულებები, რითაც მხარდაჭერა სჭირდებოდათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს.

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 2015 წელს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან etc - მჭიდრო თანამშრომლობით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: ზრდასრულთა სწავლების მეთოდები და გამოყენებითი კვლევა სასწავლო დაწესებულებების მართვისათვის. მათივე კონსულტირებით შემუშავდა აწსუ-ს პროფესიული სწავლების სტრატეგია.

2015 წელს აწსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით და ხელშეწყობით მოეწყო სემინარი: „პროფესიული განათლების სრულყოფა, ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილება“.

მოდულური პროფესიული პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა შესაბამისი წესები და ინსტრუქციები, განავითარა ახალი და ინოვაციური მიდგომები, ამავდროულად აქტიურად თანამშრომლობდა მოდულური პროფესიული პროგრამების გარე მხარდაჭერის ჯგუფთან.





ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა მიმართულია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი პროფესიული პროგრამების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას და გადამზადებას.

2016 წელს უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები:

- ტრენინგი „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“ - აწსუ, 5-7.09.2016, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
- ტრენინგი „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემებში“ - აწსუ, 18-19.10.2016, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
- ტრენინგი „პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულური სწავლების საკითხებში“ - აწსუ, 24-25.10.2016, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
- სამუშაო შეხვედრა მოდულური პროგრამის ხელმძღვანელებთან და შესაბამის პირებთან, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ იმ პირებს, რომლებიც 2016 წლის შემოდგომიდან ჩართული იქნებიან მოდულური პროგრამების განხორციელებაში.

2017 წლის ოქტომბერში - თბილისის მასწავლებელთა სახლში გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება(GIZ)-ის დაფინანსებით ჩატარდა ტრენინგები პროფესიულ პედაგოგიკასა და დიდაქტიკაში. აღნიშნულ ტრენინგებს უნივერსიტეტიდან დაესწრო რამდენიმე მოდულური პროგრამის განმახორციელებელი -"დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი"; "ბიბლიოთეკარი"; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ამავე დროს, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სასტუმრო საქმის სპეციალისტი" ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები იმყოფებოდნენ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ -ის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე დუალური მიდგომა პროფესიულ განათლებაში, სადაც ოპტიმიზირებული მოდულური პროგრამის "სასტუმრო, რესტორანი, მზარეული" დანერგვის და განხორციელების მიდგომები განიხილეს და სხვ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია უზრუნველყოს სწავლებისა და ადმინისტრირების მაღალი ხარისხი საერთაშორისო პარტნიორებისა და რეგულაციების მეშვეობით, რაც მოიაზრებს შემდეგს: ტრენინგების ორგანიზებას; პარტნიორ უნივერსიტეტებში მობილობას; პროექტებში, ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობას; აქტიურ კომუნიკაციას საერთაშორისო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან. ჩეხურ ორგანიზაცია PIN-თან თანამშრომლობით და ევროკავშირის დაფინანსებით,საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის უზრუნველყოფის მიზნითადა სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად შემუშავა შემდეგი სარეკომენდაციო დოკუმენტები:

- პროფესიული პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელო
- პროფესიული მასწავლებლის გზამკვლევი
- გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის
- პროფესიული პროგრამების ადმინისტრირება
- სწავლების მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები

**დასტურდება:**

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა“



- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ოპროცესის მარეგულირებელი წესი“; ცვლილებები დამტკიცებულია: აკად. საბჭოს მიერ; დადგენილება #52 (16/17); 27.07.2017;
- რექტორის ბრძანებები: № 01-04/19 მოდულური პროფესიული პროგრამების „ბიბლიოთეკარი“ და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით პედაგოგიურ ფაკულტეტზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ; № 220 § 51, 28.11.1016 წ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მოდულური პროფესიული პროგრამის „სისტემების ადმინისტრატორი“ დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ; № 221 § 5, 29.11.1016 წ. საინჟინრო ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე მოდულური პროფესიული პროგრამების „ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების“, „დეკორატიული და გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის“ და „ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტის“ დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ № 01-04/91, 25.11.2016 წ. საინჟინრო ტექნიკურ ფაკულტეტზე მოდულური პროფესიული პროგრამის „სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორის“ დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ; № 01-04/83 25.11.2016წ. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოდულური პროფესიული პროგრამების „საბაჟო საქმის სპეციალისტის“, „სასტუმრო საქმის სპეციალისტის“ და „სარეკლამო აგენტის“ დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- [http://atsu.edu.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=411&Itemid=573&lang=en](http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=411&Itemid=573&lang=en)



## 2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას (აღწერეთ ფართითა და სათანადო ინვენტარით უზრუნველყოფის შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან)

### აღწერა:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში /მართლობიერ მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება გამოიყენება უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, სასწავლო და კვლევით მიზნებს და სტუდენტთა დაგეგმილ რაოდენობას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მართლობიერ მფლობელობაში გააჩნია 22 კორპუსი, რომელთაგანაც 16 გამოყენებულია სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, დანარჩენი შენობა ამ ეტაპზე გამოიყენება არასასწავლო დანიშნულებით. მათ შორის, საერთო საცხოვრებლისათვის, სპორტული დარბაზების, კლუბის, სასაწყობე-სამეურნეო, ინვენტარის განთავსებისა და სხვა არასასწავლო მიზნებისათვის. უძრავი ქონება რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ბაზაში და მინიჭებული აქვს შესაბამისი საკადასტრო კოდები. მომზადებულია აზომვითი ნახაზები, რომლებშიც გამიჯნულია სასწავლო და დამხმარე ფართი. უნივერსიტეტის სასწავლო ფართი შედგება ყველა სასწავლო კორპუსში განთავსებული სასწავლო აუდიტორიებისაგან, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებისაგან, საკონფერენციო დარბაზებისგან, საბიბლიოთეკო სივრცეებისაგან (გარდა წიგნსაცავისა), საპროფესორებისაგან. სასწავლო ფართის მოწყობა-გაუმჯობესების მიზნით ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის ყველა მისამართზე ფაკულტეტების მოთხოვნების შესაბამისად, გარემონტდა სასწავლო აუდიტორიები, ფოიეები, მოეწყო და გადაიარაღდა სასწავლო კვლევითი ლაბორატორიები. ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით შექმნილი და გადაიარაღებული ლაბორატორიების ნაწილი სპეციფიკის გათვალისწინებით ემსახურება რამდენიმე ფაკულტეტს (მაგალითად ქიმიის ლაბორატორია - საბუნებისმეტყველო, საინჟინრო-ტექნოლოგიურ და მედიცინის ფაკულტეტებს). ამ ეტაპზე არსებული სააუდიტორიო ფონდი (რაოდენობა) საკმარისი მინიმუმია უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტთა მომსახურების მიზნით. სასწავლო შენობებში გამოყენებული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურასათა ადოდ მოწყობილია, აღჭურვილი ავეჯით, ტექნიკით დასწავლებისათვის საჭირო ინვენტარით. საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკაციები გათვალისწინებით სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია კორპუსებში ფაკულტეტების განლაგების შესაბამისად.

უნივერსიტეტის ყველა სასწავლო კორპუსში განთავსებულია: ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, სასწავლო აუდიტორიები, სანიტარული კვანძები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები. ყველა მისამართზე განთავსებულია საკონფერენციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, ჯგუფური მუშაობის სივრცეები და ადმინისტრაციული სთავსოები. ლაბორატორიული სივრცეებში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, რომლის უშუალო კონტროლს ახორციელებს დეპარტამენტის/პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო ზოგადკონტროლს მატერიალური რესურსების მართვის განყოფილება.

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი მოცემულია დანართი

### დასტურდება:

- საკუთრებაში/მართლობიერ მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება
- აზომვითი ნახაზები
- აწსუ-ს ბიუჯეტი



- აწსუ-ს სტრატეგიული გეგმა
- აწსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშები.

2.2 დაწესებულებაშია რის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

**აღწერა:**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ელექტროენერჯის მიწოდებით. ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემის შემუშავების მიზნით საბიბლიოთეკო კორპუსის მშენებლობისას 2017 წელს სამშენებლო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნა შესაბამისი სისტემის მოწყობა. აღნიშნული სისტემა 2018 წლიდან შევიდა ექსპლუატაციაში და სრულად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამის მისამართზე (თამარ მეფის #59) სტანდარტის დაკმაყოფილებას. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებას ბალანსზე აქვს დიზელ-გენერატორები, რომლების გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში დანარჩენ მისამართებზე.

უნივერსიტეტის ყველა სასწავლო შენობაში მოწყობილია სანიტარული კვანძები, სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც კონტროლდება შესაბამისი სამსახურის მიერ უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. სველი წერტილები მარაგდება მუდმივი წყლით აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ყველა მისამართზე სრულყოფილად მოეწყო წყლის რეზერვუარები. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებით და ვენტილაციით, ამ ეტაპზე საბიბლიოთეკო კორპუსის სველი წერტილების ვენტილაცია ხორციელდება გათბობა- ვენტილაციის საერთო სისტემის მეშვეობით, ხოლო დანარჩენ მისამართებზე მძლავრი ელექტრო ვენტილატორებით. სანიტარული კვანძების შემდგომი მოწესრიგების და ექსპლუატაციის პროცესში სხვადასხვა ტიპის დაზიანებების დროული აღმოფხვრის მიზნით შესწავლილ იქნა დაზიანებების სპეციფიკაცია და სიხშირე. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შევიმუშავეთ შესყიდვების კანონმდებლობის დაცვით შესყიდვის განხორციელების პროცედურა, რომლის დროსაც უმოკლეს ვადაში განხორციელდება სხვადასხვა ტიპის მექანიკური დაზიანების აღმოფხვრა. კერძოდ; წინასწარ ხორციელდება შესყიდვის პროცედურა საჭირო მომსახურებაზე, (მაგ. ჩამრეცხი სისტემის, კარის საკეტის, დაზიანებული ონკანის შეცვლა მისივე მასალით).

ყველა სასწავლო კორპუსში სასწავლო ოთახებს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ბუნებრივია, წლების წინ შექმნილი ელექტრო სისტემა და მისი სიმძლავრე ვერ აკმაყოფილებდა არსებულ საჭიროებებიდან გამომდინარე (ელექტრომოწყობილობებისა და კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობრივი ზრდა) ელექტროენერჯაზე გაზრდილ მოთხოვნილებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კორპუსების შიგა პერიმეტრებისა და სასწავლო ოთახები მოწყობის(გარემონტების) დროს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ყველა სამუშაოს შესრულებისას კორპუსებში დამონტაჟდა ახალი ელექტრო სადენები, მოეწყო ახალი ელექტროკვანძები, რაც ამ ეტაპზე ქმნის სასწავლო ოთახებში ხელოვნური განათების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის I II III IV V VII X XI XIII XV XVIII XIX XXII კორპუსებში, სადაც მიმდინარეობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების პროცესი, დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა.

უნივერსიტეტში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოსგათვალისწინებით უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები სრულად უზრუნველყოფილია რიგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობით, უნივერსიტეტის მოცულობის და გამტარობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია სანიტარული კვანძების მუდმივი განახლება - რეაბილიტაცია. ამ



მიზნით 2018 წლის დასაწყისში ხორციელდება II III IV კორპუსების სანიტარული კვანძების სარემონტო სამუშაოები.

**დასტურდება:**

- საკუთრებაში/მართლობიერმფლობელობაშიარსებულიუძრავიდაძრავიქონება
- აზომვითინახაზები
- აწსუ-სბიუჯეტი
- აწსუ-სსტრატეგიულიგეგმა
- აწსუ-სადმინისტრაციისხელმძღვანელისწლიურიანგარიშები.

2.3დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**აღწერა:**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას საფუძველი ჩაეყარა 1933 წელს აკად. გიორგი ახვლედიანის თაოსნობით და იგი ამჟამად ერთ-ერთი უმდიდრესია საქართველოში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში გაერთიანებულიან. მუსხელიშვილისა და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების კოლექციები.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიბლიოთეკის განვითარებაზე და, განსაკუთრებით, წიგნად ფონდზე დახარჯული თანხები.





## წიგნები (შეძენილი)



## პერიოდული გამოცემები (შეძენილი)







2017 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გამუჯობესებასა და განახლებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდო. აშენდა ახალი საბიბლიოთეკო კორპუსი, სადაც გარდა ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული ოთახებისა განთავსებულია 3 სამკითხველო დარბაზი (მათ შორის ერთი საკონფერენციო დარბაზად გამოიყენება), თავისუფალი ზონები, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ოთახები. ბიბლიოთეკის საცავი აღჭურვილია თანამედროვე ცეცხლსაწინააღმდეგო სისტემით (გაზით ავტომატური ხანძარქრობის სისტემა, ცეცხლმაქრ გაზად გამოყენებულია ახალი ტექნოლოგიის გაზი NOVEC 1230).

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას გააჩნია 11 სამკითხველო დარბაზი 292 ადგილით:



- სამკითხველო დარბაზი (90 ადგილი) – I კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
- სამკითხველო დარბაზი (10 ადგილი) – II კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
- სამკითხველო დარბაზი (40 ადგილი) – II ბკორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
- სამკითხველო დარბაზი (10 ადგილი) – III კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
- სამკითხველო დარბაზი (15 ადგილი) – III კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
- სამკითხველო დარბაზი (35 ადგილი) – IV კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
- სამკითხველო დარბაზი (30 ადგილი) – VII კორპუსი, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამ. №98
- სამკითხველო დარბაზი (20 ადგილი) – XIII კორპუსი, ქუთაისი, ახალგაზრდობის მე-2 შ. №24
- სამკითხველო დარბაზი (16 ადგილი) – XVIII კორპუსი, ქუთაისი, ჭავჭავაძის გამ. №21
- სამკითხველო დარბაზი (21 ადგილი) – XIX კორპუსი, ქუთაისი, შერვაშიძის ქ. №53
- სამკითხველო დარბაზი (5 ადგილი) – XX კორპუსი, ფოთი, 9 აპრილი ქ. №11

2018 წელს დაგეგმილია 4 ახალი სამკითხველო დარბაზის გახსნა:

- სამკითხველო დარბაზი (50 ადგილი) – VII კორპუსი, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამ. №98
- სამკითხველო დარბაზი (30 ადგილი) – XI კორპუსი, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამ. №98
- სამკითხველო დარბაზი (30 ადგილი) – XXII კორპუსი, ქუთაისი, ტაბიძის გამ. №18
- სამკითხველო დარბაზი (50 ადგილი) – XXII კორპუსი, ქუთაისი, ტაბიძის გამ. №18

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში ექვს დღეს (ორშაბათი-შაბათი 9.00 სთ. – 19.00 სთ.), თუმცა ახალი საბიბლიოთეკო კორპუსის სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ შესაძლებელია მკითხველის/მომხმარებლის ინტერესების კვლავ გათვალისწინება (ბიბლიოთეკა მუშაობდა ოშაბათი-შაბათი 10 სთ. – 17 სთ.).

ბიბლიოთეკის მკითხველს/მომხმარებელს საშუალება აქვს ისარგებლოს, როგორც ბარათული, ასევე ელექტრონული კატალოგით (დისტანციურად მოიძიოს სასურველი საბიბლიოთეკო მასალა).

ბარათული კატალოგების სამი სახეობაა წარმოდგენილი აწესი ბიბლიოთეკაში:

- ანბანური
- სისტემატური
- საგნობრივი

2011 წლიდან ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი (<http://atsu.library.ac.ge>), რომელიც წარმოადგენს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემას (ILS-Integrated Library System) და მოიცავს შემეგ ძირითად ფუნქციებს:

- რესურსების კატალოგიზაცია/ინვენტარიზაცია
- ვებ-კატალოგი (OPAC- Online Public Access Catalogue)
- ცირკულაცია
- ანგარიშგება (რეპორტინგი)
- სინქრონიზაცია სხვა ანალოგებთან...

ელექტრონულ კატალოგში ჩაშენებულია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი გუტენბერგის ბიბლიოთეკა (მთლიანდ გაციფრებულია), რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენს მკითხველს/მომხმარებელს ერთი ფანჯრის პრინციპით მოიძიოს და გამოიყენოს მასში



განთავსებული წიგნები. ელექტრონული კატალოგი დაფუძნებულია MARC21 სტანდარტზე. მასში ჩანაწერების რაოდენობა დღეისათვის შეადგენს 38600 ერთეულს, თუმცა დაგეგმილია რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა ადამიანური რესურსების ზრდისხარჯზე.



2018 წლიდან დაგეგმილია ცირკულაციის ფუნქციის ჩართვა, რაც გულისხმობს საბიბლიოთეკო ერთეულების მართვას, მათი გატანა-დაბრუნებისა და ამჟამინდელი მდგომარეობის (დაკავებულია, ხელმისაწვდომია, მუშავდება და სხვა) კონტროლს, აგრეთვე მომხმარებლის დამატებას, წაშლას თუ სხვა მოქმედებას მათი მიმართ.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნადი ფონდი და მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები.

➤ **წიგნადი ფონდი (ბეჭდური)**

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დღეისათვის 676.173 ერთეულს მოიცავს და იგი პერმანენტულად იზრდება შეძენილი და საჩუქრად შემოსული საბიბლიოთეკო მასალებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების პროგრამაში მითითებულ ლიტერატურას.

➤ **ელექტრონული რესურსები და ელექტრონული ბიბლიოთეკა**

ბეჭდურის გარდა, აწეს ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული რესურსები, როგორცა: ელექტრონული წიგნები, აუდიო წიგნები, აუდიო-ვიდეო ლექციები და სასწავლო მასალები, პერიოდული გამოცემები და სხვა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა (<http://library.atsu.edu.ge>) მოიცავს ყველა შინაარსის ელექტრონულ ლიტერატურას. მასზე წვდომა შესაძლებელია, როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან, ასევე მის მიღმა. დღეისათვის ელ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 760 ელ. წიგნი და დარეგისტრირებულია 1012 მკითხველი/მომხმარებელი (ელ. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს 2017 წლის აპრილიდან).



ბიბლიოთეკის მკითხველისათვის/მომხმარებელისათვის შეიქმნა ელექტრონული კატალოგისა და ბიბლიოთეკის ელექტრონული გზამკვლევი, რომელიც დაეხმარება მათ სასურველი საბიბლიოთეკო მასალის მოძიებაში (<https://www.youtube.com/watch?v=tNImfcsDyBk>).

➤ **ელექტრონული ბაზები**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებზე ([http://atsu.edu.ge/index.php?option=com\\_sppagebuilder&view=page&id=28&lang=en](http://atsu.edu.ge/index.php?option=com_sppagebuilder&view=page&id=28&lang=en)), რომლებიც აერთიანებს ათასობით სამეცნიერო ჟურნალსა და წიგნს. დღეისათვის, ყველა ელექტრონული ბაზა ხელმისაწვდომია მხოლოდ უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელიდან, თუმცა სამომავლოდ დაგეგმილია ელექტრონული რესურსები მკითხველისათვის/მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი გახადოთ ნებისმიერი ადგილიდან. ბიბლიოთეკა მკითხველს/მომხმარებელს სთავაზობს ელ. ბაზების გამოყენების ტრენინგებს (მხოლოდ 2017 წელს ჩატარდა 35 ტრენინგი: აკადემიური პერსონალი 400 , სტუდენტი - 2000, დოქტორანტი - 100, სხვა დაინტერესებული პირი - 500).

➤ **ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტი**

ბიბლიოთეკა ყველა დაინტერესებულ მკითხველს/მომხმარებელს სთავაზობს ბიბლიოთეკათმორის მომსახურებას, რომელიც გულისხმობს სხვა ბიბლიოთეკებიდან დროებით ისეთი კოლექციებით სარგებლობას, რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება.

➤ **სამკითხველო დარბაზში წიგნების ელექტრონული შეკვეთა**

ბიბლიოთეკაში მოქმედებს წიგნების ელექტრონული შეკვეთა სასურველ სამკითხველო დარბაზში. დღეისათვის, მხოლოდ ორ სამკითხველო დარბაზშია (I კორპუსის და IV კორპუსის) აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომი, თუმცა 2018 წელს ყველა დარბაზს მოვიცავთ.

აწსუ ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) სრულად მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში(სილაბუსებში) და მოდულებში მითითებულ ლიტერატურას და შესაბამისად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

**დასტურდება:**

- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი
- [http://atsu.edu.ge/index.php?option=com\\_sppagebuilder&view=page&id=27&lang=en](http://atsu.edu.ge/index.php?option=com_sppagebuilder&view=page&id=27&lang=en)
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <http://atsu.edu.ge>
- ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზები შესაბამისი აღჭურვილობით
- ელ.ბიბლიოთეკა <http://library.atstu.edu.ge>
- ელ. კატალოგი <http://atsu.library.ac.ge>
- ელ. ბაზები
- [http://atsu.edu.ge/index.php?option=com\\_sppagebuilder&view=page&id=28&lang=en](http://atsu.edu.ge/index.php?option=com_sppagebuilder&view=page&id=28&lang=en)
- ინვენტარის წიგნები.


2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**აღწერა:**



ინფორმაციული ტექნოლოგიებზე სულ უფრო მზარდ მოთხოვნებთან ერთად იზრდება/ფართოვდება/ცვლილებებს განიცდის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც საჭიროებს მუდმივად დაკვირვებისა და შესწავლის რეჟიმში მუშაობას.

თუ 2011 წლისათვის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაში შედიოდა 500 ერთეულამდე კომპიუტერული ტექნიკა, დღეს იგი გაზრდილია 900 მდე.



მომხმარებელთა მხრიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ხორციელდება კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობის შესწავლა და საჭიროების შესაბამისად ხდება დაზიანებული სისტემების შეკეთება ან ახლით ჩანაცვლება (უნივერსიტეტის თანამშრომელი ტექნიკის უწყსრიგობის აღმოჩენის შემთხვევაში: წერილობით მიმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს, განცხადებაში მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული უწყსრიგობის არსი. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მოვალეობაა შეისწავლოს უწყსრიგობის გამომწვევი მიზეზი და მიიღოს ზომები მისი აღმოფხვრის მიზნით, კერძოდ: ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში შესაბამის საკვანძო დეტალების მოძიება და დაზიანების აღმოფხვრა თუ ეს შესაძლებელია მიმდინარე ეტაპზე უნივერსიტეტში არსებული რესურსების მეშვეობით, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზის შემთხვევაში ახორციელებს აღდგენით სამუშაოებს).

უნივერსიტეტში მოწყობილია ზოგადი სტანდარტის შესაბამისი საუნივერსიტეტო ქსელი (Router -> Firewall -> ვარსკვლავური ტოპოლოგიის ლოკალური ქსელი) და საკაბელო ქსელით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია (ტერიტორიული მოწყობის გამო ქსელი გაშლილია 5 დამოუკიდებელ ნაწილად. ამავე დროს თამარ მეფისა და ახალგაზრდობის გამზირზე არსებულ უნივერსიტეტის კორპუსები დაკავშირებულია ერთმანეთთან და ქმნიან ერთლოკალურ ქსელს).

პერიოდულად ხორციელდება ქსელური ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია/გაახლება. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ტექნოლოგიების განვითარებით, ისე უნივერსიტეტში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებით. მიმდინარე წელს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა 6 საკვანძო გამანაწილებელი წერტილის გაახლება უფრო მაღალ გამტარობის აპარატურით (100 მბ-ანი კვანძები ჩანაცვლდა 1000 მბ-ანი).

თუ 2011 წლისათვის უნივერსიტეტის ელ. სერვისებით უზრუნველყოფას ემსახურებოდა 2 სერვერი განვლილ პერიოდში უნივერსიტეტში დანერგილი სერვისების უზრუნველყოფას



უკვეემსახურება 5 ფიზიკური (9-ვირტუალური) სერვერი, რაც მიმდინარე ეტაპზე სრულად ფარავს უნივერსიტეტის საჭიროებებს.

გამართულია დომენური სისტემა. ცენტრალიზებულად ხორციელდება ოპერაციული სისტემისა და ანტივირუსული ბაზების განახლება.

2012 წლიდან უნივერსიტეტის კომპიუტერული პარკის პროგრამული უზრუნველყოფა ფუნქციონირებს კომპანია Microsoft-ის ლიცენზირებული პროგრამული პაკეტების საფუძველზე; საინფორმაციო ტექნოლოგიებზე მოთხოვნების ზრდასთან ერთად გაიზარდა ინტერნეტტრაფიკის მოცულობაც, ამჟამად უნივერსიტეტს ემსახურება სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული 2 ინტერნეტ-პროვაიდერი. ორივე მათგანიდან ინტერნეტის მოწოდება ხდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხის საშუალებით, კერძოდ:

მიმდინარე ხელშეკრულებით 2018 წლის 1 იანვრიდან ცენტრალურ სერვერზე (თამარ მეფის ქ.#59) მიღებული ინტერნეტის სიჩქარე განისაზღვრება 50 მბ/წმ-ით გლობალურ არხზე და 1000მბ/წმ-ით ლოკალურ არხზე. (პროვაიდერი კომპანია „სილქნეტი“), ხოლო შემდეგ მისამართებზე განთავსებულ სასწავლო კორპუსებს მიეწოდებათ 100 მბ/წმ იანი პაკეტი: ქუთაისი, ტ.ტაბიძის ქ.№18, ახალგაზრდობის გამზ. №98, ახალგაზრდობის გამზ. მე-2 -შეს. №24, ჭავჭავაძის გამზ. № 21, შერვაშიძის ქ. №53, ქ.ფოთი 9 აპრილის ხეივანი №11 (პროვაიდერი კომპანია შპს „ახალიქსელები“);

სარეზერვო ასლის შექმნა და მონაცემთა აღდგენის პოლიტიკის შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება სერვერებზე განთავსებული მონაცემთა ბაზების ასლების აღება (BackUp) და საცავში გადანახვა (სამსახურში სპეციალურად გამოყოფილ სივრცეზე ხდება ყველა სარეზერვო ასლის შენახვა);

უნივერსიტეტი ინტერნეტში ჩართულია Firewall-ის ე.წ. მცველის დახმარებით, რომლის მართვის, გამოყენებისა და კონფიგურირების განაწესი განსაზღვრულია დამცავი ეკრანის გამოყენების პოლიტიკით;

ყველა კომპიუტერი აღჭურვილია ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩანერგილი (Install) ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფით. ანტივირუსული ბაზების განახლება ხორციელდება ცენტრალიზებულად (სერვერიდან).

კომპიუტერული ტექნიკა ჩართულია ინტერნეტში 24/7 რეჟიმით, როგორც პერსონალისათვის განკუთვნილ სამუშაო ოთახებში, ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში და კომპიუტერულ კლასებში;

ამავე დროს სამუშაო დღის მანძილზე ფუნქციონირებს ე. წ. „თავისუფალი დასწრების“ ინტერნეტ ლაბორატორია ( 50 კომპიუტერი, თამარ მეფის ქუჩა #59), სადაც ნებისმიერ სტუდენტს/თანამშრომელს შეუძლია იმუშაოს კომპიუტერულ ტექნიკასთან.


➤ 2013 წლიდან საუნივერსიტეტო კორპორაციული ფოსტის სერვისები განთავსდა კომპანია Microsoft-ის სერვერებზე და ფუნქციონირებს atsu.edu.ge დომენით. ამჟამად კორპორაციულ ფოსტაზე დარეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობამ გადააჭარბა 17000-ს (თანამშრომლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები). ბოლო 6 თვის გამოყენების აქტივობა იხილეთ დიაგრამაზე.

ამავე დროს სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ თანმხლები სერვისები კერძოდ:

- კალენდარი - საკუთარი დღის წესრიგის შეტანა, დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარების თარიღების მითითება. სერვისის საშუალებას იძლევა გაუგზავნოს მომხმარებელს წინასწარი შეტყობინება/შეხსენება;
- ჯგუფებთან მუშაობა - მომხმარებლებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი მცირე ჯგუფები და მოახდინონ ამ ჯგუფთან კომუნიკაცია;
- One Drive - ღრუბლოვანი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი დისკური სივრცე 50 გბ-ის ფარგლებში;
- საოფისე პროგრამებზე „ონ ლაინ“ წვდომა;
- გამოკითხვის ფორმების ორგანიზება და ა.შ.)



თითოეულ სტუდენტს შეუძლია უფასოდ ჩამოიწეროს საოფისე პროგრამების პაკეტი დაჩანერგოს იგი 5 სხვადასხვა მოწყობილობაზე. ბოლო 6 თვის მონაცემებით ამ სერვისით ისარგებლა 836 მომხმარებელმა;



- 2015 წლიდან უნივერსიტეტი ჩართულია დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემაში [flow.emis.ge](http://flow.emis.ge);
- კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე გააქტიურებულია ნორმატიული აქტების ბაზა [codex](http://codex.atsu.edu.ge) (ადმინისტრაცია, საფინანსო, მატერიალური რესურსები, იურიდიული სამსახური, სამართლის დეპარტამენტი);
- ელექტრონული კატალოგი (<http://atsu.library.ac.ge/eg/opac/home>);
- შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული ბიბლიოთეკა (<http://library.atsu.edu.ge/lms/>);
- საბუღალტრო პროგრამა (info-ბუღალტერია).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, ყველა დაინტერესებული პირისათვის ინფორმაციისა და გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, შექმნა მიზნობრივი თანამდებობრივი ჯგუფები (პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, შეხვედრებში მონაწილე დაინტერესებული პირები) კორპორაციული ფოსტების სერვისის საშუალებით, რომელთა წარმომადგენლებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნებათ შესაბამისი ინფორმაციები, ანგარიშები და რეკომენდაციები. ამავე დროს, აღნიშნული ჯგუფების ყველა ინდივიდს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ელექტრონულ დისკუსიებში, დასვას კითხვები და მიიღოს პასუხები.

უნივერსიტეტის სერვერებს ემსახურება 4 ერთეული ენერგო-შემნახველი მოწყობილობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სერვერების ფუნქციონირებას 35 წთ-ს მანძილზე, ეს დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ელექტრო ენერჯის მიწოდება განხორციელდეს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი გენერატორების საშუალებით.

უწყვეტი ენერგომომარაგება (გენერატორი) ასევე უზრუნველყოფილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის (ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური, საფინანსო განყოფილება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხარისხის მართვის სამსახური, კანცელარია, ადმინისტრაცია).

**დასტურდება:**

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 5 (ხუთი) ფიზიკური დონის სერვერი;
- 900 ერთეულამდე მუშა მდგომარეობაში მყოფი პერსონალური კომპიუტერი;
- კომპიუტერული პარკი ფუნქციონირებს ლეგალურ პლატფორმაზე (კომპანია Microsoft-თან



- თანამშრომლობის შედეგად);
- უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული (სამსახური, ფაკულტეტი, დეპარტამენტი)
- უზრუნველყოფილია სათანადო ტექნიკით;
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 29 კომპიუტერული ლაბორატორია;
- საკაბელოქსელით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია;
- შესყიდულია ინტერნეტ მომსახურება 100 მბ/წმ-იანი პაკეტი ოპტიკური არხით შემდეგ
- მისამართებზე: ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქ. №18, ახალგაზრდობის გამზ. №98, ახალგაზრდობის
- გამზ. მე-2 - შეს. №24, ჭავჭავაძის გამზ. №21, შერვაშიძის ქ. №53, ქ. ფოთი 9 აპრილის ხეივანი
- №11 (მომწოდებელი მკვს „ახალიქსელები“);
- შესყიდულია ინტერნეტ მომსახურება 50/1000 მბ/წმ (გლობალი/ლოკალი) დამიწოდება
- ცენტრალურ სერვერს (თამარ მეფის 59, კომპანია „სილქნეტი“-ს მიერ).
- ყველა შესყიდვის აქტი/ხელშეკრულება ინახება შესყიდვების სამსახურში.

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**აღწერა:**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვის ორგანოების მიერ გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა წარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ დადგენილი წესისა და კანონმდებლობის შესაბამისად:

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების დადგენილებათა რეგისტრაციის წიგნი;
- ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი;
- უნივერსიტეტის თანამშრომელთა მივლინებების წიგნი;

ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სიტემით (eFlow) წარმოებს:

- შემოსული განცხადებების რეგისტრაცია;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაცია;
- სხვადასხვა დაწესებულებებიდან შემოსული დოკუმენტების რეგისტრაცია;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი დოკუმენტების რეგისტრაცია;
- სხვადასხვა დაწესებულებებში გაგზავნილი დოკუმენტების რეგისტრაცია.

**დასტურდება:**

- უნივერსიტეტის კანცელარიაში არსებული სარეგისტრაციო წიგნები;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სიტემა (eFlow).

2.6 დაწესებულებაში დაცულია ეროვნული და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ა) ხანძარსა წინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსა წინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**აღწერა:**





უნივერსიტეტში შემუშავებულია და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ბოლო ხუთი წლი განმავლობაში ყველა კორპუსში მოეწყო ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები მათი გამოყენების შესაბამისი ინსტრუქციის დეტალური მითითებით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები. ყოველწლიურად ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო სტენდების გადაიარაღება და ცეცხლმაქრების დამუხტვა უნივერსიტეტის კორპუსებში მოწესრიგებულია საევაკუაციო გასასვლელები. უმეტესი სასწავლო კორპუსებიდან მინიმუმ ერთ-ერთი გასასვლელი კარი არ არის რკინის. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და შესაბამისი სწავლების განხორციელების მიზნით 2017 წლის ოქტომბრის თვეში ქალაქის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ჩართულობით ჩატარდა კორპუსების ევაკუაციის სიმულაცია, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც სტუდენტები, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომლები. სწავლების შედეგად უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების თანამშრომელთა ჩართულობამ მოგვცა გამოცდილება საგანგებო სიტუაციების უკეთ მართვისა.

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით უნივერსიტეტს ჰყავს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. დაწესებულებას ყველა მისამართზე მოწყობილი აქვს პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტები, რომლებიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. 2016-2017 წლებში თამარ მეფის და ახალგაზრდობის მისამართებზე სრულად მოეწყო (განახლდა) სამედიცინო პუნქტების ინფრასტრუქტურა, რომელიც მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით. შეძენილ იქნა სპეციფიკური აღჭურვილობა მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. სამედიცინო კაბინეტებში პერსონალის მხრიდან ხორციელდება პირველადი დახმარების აღმოჩენა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო დახმარების გამოძახება. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ბიუჯეტში და შესაბამისად შესყიდვების გეგმაში ითვალისწინებს სამედიცინო მედიკამენტებისა და აღჭურვილობის ხარჯებს. მედიკამენტების შეძენის მიზნით ადმინისტრაცია ყოველწლიურად განიხილავს სამედიცინო პერსონალის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს წინა წელს (პერიოდში) გახარჯული მასალების შესახებ. ანგარიშში ასახულია ყველაზე ხშირად მოთხოვნილი მედიკამენტებისა და აღჭურვილობის შესახებ ინფორმაცია.

დაწესებულების შენობების მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა. უნივერსიტეტის კორპუსები განლაგებულია ქალაქ ქუთაისში შვიდ სხვადასხვა მისამართზე დაქალაქ ფოთში. მიწისა და შენობების მოცულობის, შენობის დატვირთვის ხარისხისა და დანიშნულების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში დაცვისა და უსაფრთხოების მომსახურება ხორციელდება როგორც არასაუწყებო დაცვის სამსახურის ასევე უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელთა მიერ. უნივერსიტეტში წესრიგის დაცვას ახორციელებენ უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულებით აყვანილი დაცვის თანამშრომლები, რომლებიც ექვემდებარებიან მატერიალური რესურსების მართვის განყოფილებას. მათი სამუშაო სპეციფიკას და ვალდებულებებს წინასწარ ეცნობა შესაბამისი პირი, რის შემდგომაც ფორმდება მასსა და უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულება შესაბამის პოზიციაზე. უნივერსიტეტის ყველა კორპუსისა და მიმდებარე ტერიტორიის დაცვა ხორციელდება 24 საათიანი რეჟიმით.

წესრიგის დაცვის მიზნით დაწესებულებას შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ვიდეოჩანაწერის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. 2017 წელს შეიქმნა 51 ათასი ლარის ფარგლებში უნივერსიტეტის ხუთ მისამართზე ახალი ვიდეოკონტროლის სისტემა, თითოეულ მისამართზე მინიმუმ ოთხი სათვალთვალ კამერით. აღნიშნულ პერიოდში შეძენილი აპარატურა სიმძლავრითა და მოცულობით აღემატება ამ პერიოდამდე არსებული აპარატურის შესაძლებლობებს. მიმდინარე წელს დაგეგმილია ფოთის ფაკულტეტზე ვიდეოკონტროლის სისტემის მოწყობა, ხოლო დანარჩენ მისამართებზე არსებული სისტემის ფარგლებში კამერების დამატება და დაფარვის ზონის გაფართოება.



**დასტურდება:**

- საკუთრებაში/მართლობიერ მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება
- აზომვითი ნახაზები
- აწსუ-ს ბიუჯეტი
- აწსუ-ს სტრატეგიული გეგმა
- აწსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშები.

2.7 დაწესებულებას აქვს დაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულის ტუდენტებისათვის

**აღწერა:**

ადაპტირებული გარემოს ზოგადი სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით უნივერსიტეტმა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეიმუშავა და განახორციელა გეგმა სსსმ პირების საჭიროებებიდან გამომდინარე შემდეგი თანმიმდევრობით:

- სსსმ პირთათვის პანდუსის მოწყობა;
- სსსმ პირთათვის სველი წერტილების მოწყობა;
- სსსმ პირთათვის ლიფტების მოწყობა;

განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით საუნივერსიტეტო სივრცეში სსსმ პირთათვის შესაძლებელი გახდა შემდეგი მომსახურების (სერვისების) მიღება:

- წვდომა სასწავლო აუდიტორიებთან;
- კომპიუტერულ კლასებთან;
- სტუდენტურ სერვისებთან;
- ბიბლიოთეკასთან;
- ადმინისტრაციასა და შესაბამის სამსახურებთან;

უნივერსიტეტის კორპუსებში, კერძოდ; I, II, III, IV, V, VII, VIII, IX, XI, XIII, XVIII, XIX, XX და საბიბლიოთეკო კორპუსებში არის მოწყობილი პანდუსები, რაც საშუალებას იძლევა წვდომა გვექონდეს I სართულზე განთავსებულ სივრცეებზე. 2017 წელს II და საბიბლიოთეკო კორპუსში მოეწყო ლიფტი რაც საშუალებას იძლევა წვდომა გვექონდეს ყველა სართულზე ნებისმიერ სერვისთან. უნივერსიტეტის ნებისმიერი კორპუსიდან შესაძლებელია წვდომა ადმინისტრაციასთან, კანცელარიასთან, ბიბლიოთეკასთან, აუდიტორიებთან, კომპიუტერულ კლასებთან, სტუდენტურ სერვისებთან, საფინანსო სამსახურთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, სანიტარულ კვანძებთან, სამედიცინო ცენტრებთან, ავტოსადგომთან. ადაპტირებული სანიტარული კვანძები განთავსებულია IV, VII, VIII, IX, XI, XVIII, XIX, XX და საბიბლიოთეკო კორპუსების I სართულებზე, ხოლო სამედიცინო ცენტრები III, VII, XIX, XX კორპუსების I სართულებზე და XIII, XVIII კორპუსების II სართულებზე.

**დასტურდება:**

- საკუთრებაში/მართლობიერ მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება
- აზომვითი ნახაზები
- აწსუ-ს ბიუჯეტი
- აწსუ-ს სტრატეგიული გეგმა
- აწსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშები.



2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**აღწერა:**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი – [www.atsu.edu.ge](http://www.atsu.edu.ge) ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რომელზეც რეგულარულად ხდება ინფორმაციის განახლება. მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების სტრუქტურა, ცალკეული სამსახურების დებულებები, აკადემიური და წარმომადგელობითი საბჭოების დადგენილებები, რექტორის ბრძანებები, ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამები, უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სიახლეები და სხვა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული პროფესიული პროგრამების პოპულარიზაციის და მათ შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით აწეს-ს ვებ-გვერდზე სწავლის ნაწილში გამოყავით სპეციალური სივრცე პროფესიული სტუდენტისთვის სახელწოდებით- „პროფესიული სწავლება“, სადაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება უნივერსიტეტში არსებულ პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებით. კერძოდ, აქ განთავსებულია აწეს-ში არსებული პროფესიული პროგრამების კატალოგი და უნივერსიტეტის youtube-ის გვერდ-ის ლინკი, სადაც ატვირთულია საინფორმაციო ანიმაციური ვიდეო-რგოლები პროგრამების შესახებ. (იხ. შემდეგი ლინკი <https://www.youtube.com/watch?v=cS6sFQu8RGk&index=2&list=PLhgCBvpmJxbaRDZHiurle1Kwms6CADKN-> )

ამას გარდა, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ნაწილში არსებობს სპეციალური განყოფილება „პროფესიული განათლება“, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს მოკლე ისტორია, პროგრამების ჩამონათვალი, კატალოგი, პროექტები, ხარისხის დოკუმენტები, ანგარიშები, პროფესიული პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის სახელმძღვანელო. აქვეა განთავსებული გზამკვლევები პროფესიული მასწავლებლისათვის, პროფესიული პროგრამების სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის, პროფესიული პროგრამების ადმინისტრირების, სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების შესახებ.

**დასტურდება:**

- ვებ-გვერდი: [www.atsu.edu.ge](http://www.atsu.edu.ge);
- შესყიდვის აქტები;

დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;  
ხელშეკრულებები ინტერნეტ პროვაიდერებთან.

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**აღწერა:**

აწეს-ს შემუშავებული აქვს 7 წლიანი სტრატეგიული და 3 წლიანი სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული გეგმა - უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტია, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის მისიისა და მიზნების შესრულებას, უნივერსიტეტის საქმიანობის თანამინდევრულად წარმართვასა



და გაუმჯობესებას. იგი ასახავს უნივერსიტეტის 2018-2024 წლების განმავლობაში სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და მიდგომებს, წარმოაჩენს უნივერსიტეტის განვითარების შესაძლებლობებს, არსებულ გამოწვევებს და მათი დაძლევის მექანიზმებს. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება, როგორც ფაქტობრივ მონაცემებს, მტკიცებულებებსა და კვლევების შედეგებს, ასევე საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობით თვითშეფასების შედეგებს.

დასახული მისიისა და ხედვის რეალიზების მიზნით უნივერსიტეტის სტრატეგია გამოყოფს 5 ძირითად მიმართულებას. თითოეული მიმართულება მოიცავს მისთვის სპეციფიკურ მოსალოდნელ შედეგებს და მათი მიღწევის გზებს. ეს მიმართულებებია:

1. სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარება,
2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება,
3. საუნივერსიტეტო სერვისების განვითარება,
4. ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება,
5. მართვის სისტემის გაუმჯობესება.

სტრატეგიის შესაბამისად შედგენილია სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია განსახორციელებელი აქტივობები, მათი განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და პასუხისმგებლობის ფორმები. მიზნები და მოსალოდნელი შედეგები დაზუსტებულია მიღწევის მაჩვენებლებით, რაც ასახულია სტრატეგიის მონიტორინგის გეგმაში.

სუბსტრატეგიის სახით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამების განვითარების სტრატეგია (აწსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #5, 23.02.2017). აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე დგება ყოველწლიური სამოქმედო გეგმები.

პროფესიული განათლების მიმართულება აწსუ-ს სტრატეგიული ხედვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ევროკავშირის საგრანტო პროექტებით, PIN -ის და კონსულტაციების და ტრენინგების ცენტრის (ctc) დახმარებით, შემუშავებულ იქნა პროფესიული განათლების სუბ-სტრატეგია. შემუშავების პროცესი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა. ასევე გაიწერა პროფესიული განათლების სუბ-სტრატეგიის განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის მატრიცა.

პროფესიული განათლების სუბ-სტრატეგია ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე: პროფესიული განათლების ადმინისტრირება, მოტივირებული სტუდენტების მოზიდვა, პერსონალის განვითარება, სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება, ინსტიტუციური პარტნიორების ქსელის გაფართოება.

უნივერსიტეტი იზიარებს პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს და ცდილობს შექმნას ღირსეული სწავლის შესაძლებლობები ყველა მსურველისათვის.

პროფესიული განათლების სექტორის განვითარება ხელს უწყობს უნივერსიტეტის როლის გაძლიერებას რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში და იმავდროულად განამტკიცებს დაწესებულების ინსტიტუციურ სიცოცხლის უნარიანობას.

#### დასტურდება:

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი);
- სამოქმედო გეგმა (სამწლიანი);
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- პროფესიული პროგრამების განვითარების სტრატეგია (აწსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #5, 23.02.2017);
- პროფესიული პროგრამების სექტორის ყოველწლიური სამუშაო გეგმები.



### 3. ადამიანური რესურსი

#### 3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**აღწერა:** უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ისეთი კადრების მოზიდვა, რომლებიც:

- მაღალ დონეზე შეძლებენ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და არსებულ კონკურენტულ გარემოში უნივერსიტეტის წარმატების უზრუნველყოფას;
- ფლობენ შესაბამის ცოდნასა და კვალიფიკაციას;
- სრულადი ზიარებენ უნივერსიტეტის ხედვას, მისიას, სტრატეგიულ მიზნებს და მაქსიმალურად იყენებენ საკუთარ შესაძლებლობებს უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ;
- მოქმედებენ უნივერსიტეტის შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვით და არსებული მექანიზმების გამოყენებით საკუთარი იწვლილი შეაქვთ უნივერსიტეტის მართვის პროცესში.

უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ითვალისწინებს პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე, ობიექტურ და სამართლიან პროცედურებს, რაც განაპირობებს ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოზიდვა/დასაქმებას.

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების ადმინისტრაციული პირების, ასევე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შერჩევისა და დანიშვნა/არჩევის პროცესი რეგულირდება აწსუ-ს წესდებითა და „უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსით“, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ.

შესაბამისად, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ ფუნქციებთან, სამუშაო აღწერილობებთან.

#### **დასტურდება:**

- პერსონალის პირადი საქმეები.

#### 3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

#### **აღწერა:**

ცხრილში მოცემული საავტორიზაციო განაცხადში შეტანილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, სტუდენტთა ფაქტობრივი და ადგილების ზღვრული რაოდენობა გვიჩვენებს, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის აწსუ აკმაყოფილებს 3.2 სტანდარტის მოთხოვნებს.



№	პროგრამის დასახელება	პროგრამის განმარხორციელებელი პერსონალი რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა
1	ბიბლიოთეკარი	12	30	15
2	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	23	40	20
3	სარეკლამო აგენტი	13	30	15
4	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	15	20	10
5	დეკორაციულ - გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	14	20	10
6	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	14	20	10
7	ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი	7	30	15
8	სისტემების ადმინისტრატორი	10	30	15
9	საბაჟო საქმე	7	40	20
<b>ჯამი</b>		<b>115</b>	<b>260</b>	<b>130</b>

საავტორიზაციოდ წარმოდგენილ 9 მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესს განახორციელებს 115 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

**დასტურდება:**

- პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით. იხ. დანართი N4.6

**3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა**

**აღწერა:**

საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის მომენტისთვის მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების თანაფარდობაა 2,25/1 (295/131)

საავტორიზაციოდ წარმოდგენილი 9 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების თანაფარდობაა 2,26/1 (260/115)

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნისაქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**აღწერა:**

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა“ (თავი III, მუხლი 17) და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. სამართლებრივი აქტის გამოცემამდე



საავტორიზაციოდ წარმოდგენილი მოდულური პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართულობა დასტურდება მოდულის/ მოდულების განმახორციელებელი პირის მიერ წარმოდგენილი განცხადებით (თანხმობით) რექტორის სახელზე.

**დასტურდება:**

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“
- გამოცემული სამართლებლივი აქტებით;
- პირადი საქმეებით.

## ნაწილი III: დანართების სახით წარმოსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტების ჩამონათვალი

<p><b>ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს თვითშეფასების ფორმა ჩანაწერის, გრაფიკული ჩანართების და /ან ფორმაზე თანდართული დოკუმენტაციის სახით</b></p>
<p><b>მისიასთან დაკავშირებული დანართები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაწესებულების მისია; (1.1)</li> </ul> <p><b>პროფესიულ და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული დანართები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამა ელექტრონული სახით (ძირითადი დოკუმენტი, სასწავლო გეგმა, მოდულები/სილაბუსები); (2.1)</li> <li>• პროგრამის დამტკიცების აქტი; (2.2)</li> <li>• პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება; (2.3)</li> <li>• პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები; (2.4)</li> <li>• დუალური სწავლების შემთხვევაში- პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულებები;</li> <li>• პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; (2.6)</li> <li>• სწავლის შედეგების შეფასების სისტემა; (2.7)</li> <li>• პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის ,მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები; (2.8)</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები; (2.9)</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა; (2.10)</li> <li>• სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის გამოყენების მტკიცებულებები; (2.11)</li> </ul>
<p><b>მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დანართები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; (3.1)</li> <li>• შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი; (3.2)</li> <li>• მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; (3.3)</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული გამოსაყენებელი მატერიალური /არამატერიალური რესურსის ჩამონათვალი; (3.4)</li> <li>• ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდების სისტემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;(3.5)</li> <li>• გათბობის სისტემის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი; (3.6)</li> </ul>



- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო და ხმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები; (3.7)
- საევაკუაციო გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი; (3.8)
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; (3.9)
- ადაპტირებული გარემოს აღწერა; (3.10)
- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; (3.11)
- ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; (3.12)
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; (3.13)
- ხელშეკრულება ინტერნეტ-პროვაიდერთან; (3.14)
- ელექტრონული სერვისების დამართვის ელექტრონული სისტემების აღწერა; (3.15)
- დომენი, ჰოსტინგი; (3.14)
- საქმისწარმოების წესი; (3.16)
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (ექვსწლიანი) და სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენს პროფესიული განათლების მიზნებისათვის შექმნილ გეგმებს; (3.17)

#### **ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული დანართები**

- სტრუქტურა; (4.1)
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები; (4.2)
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი; (იხ. აწსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) (4.3)
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; (იხ. აწსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) (4.4)
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ შევსებული ინფორმაციის მოწოდების ფორმა (იხ. თვითშეფასების დანართი 1)
- პროგრამის განმახორციელებელ პირების დანიშვნის აქტები და მათი CV-ები (4.6)

#### **საფასური**

- უმაღლესი ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში, რომელსაც სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება, შესაბამისი საფასურის გადახდის ქვითარი;





**დანართი 1.**

*ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ*

**საგნობრივი პროფესიული პროგრამები:**

**დანართი 1.1 - ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი- IV საფეხური**

პროგრამის სახელწოდება:		ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი- IV საფეხური		
№	მოდული/სილაბუსი	სახელი, გვარი	სტატუსი(პროფ. განათლების მასწავლებელი, მოწვეული სპეციალისტი,პრაქტიკის ინსტრუქტორი)	კვალიფიკაცია / მუშაობის გამოცდილება, რის გამოც შეირჩა ამ კომპონენტის ხელმძღვანელად
1	ინგლისური ენა	დიანა ნემსწვერიძე	მოწვეული სპეციალისტი	ინგლისური ენის მასწავლებელი
2	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ტრანსპორტის დარგში	ალექსანდრე ლომიძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ლალი გოგისვანიძე		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
3	ტექნიკური ხაზვა	ზაზა ჟორჟოლიანი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ლალი გოგისვანიძე		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
4	შრომის ორგანიზაცია და უსაფრთხოება ავტოსარემონტო საწარმოებში	ალექსანდრე კამლაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ლალი გოგისვანიძე		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
5	ავტომობილების რემონტი და ტექნიკური მომსახურების საფუძვლები	ჯუმბერ ჩოგოვაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ლალი გოგისვანიძე		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
6	ურთიერთშეცვლადობა და ტექნიკური გაზომვები	გია დადუნაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ირაკლი დადუნაშვილი		ინჟინერიის მაგისტრი
7	საავტომობილო ელექტრომონტაჟის უწყვეტი მომსახურების და მათი დადგენის გზები	გიორგი ფურცხვანიძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		იურა ნემსწვერიძე		ინჟინერიის მაგისტრი
8	საავტომობილო ელექტრომონტაჟის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის და დიაგნოსტიკის ორგანიზაცია	გიორგი ფურცხვანიძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ზაზა ჟორჟოლიანი		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
9	საავტომობილო ელექტრომონტაჟის სერვისი	გიორგი ფურცხვანიძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ზაზა ჟორჟოლიანი		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
10	სასწავლო პრაქტიკა	გიორგი ფურცხვანიძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		იურა ნემსწვერიძე		ინჟინერიის მაგისტრი



		ზაზა ჟორჟოლიანი		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ალექსანდრე კამლაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ლალი გოგისვანიძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		დავით მესხი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის მაგისტრი
11	საწარმოო პრაქტიკა	ზაზა ჟორჟოლიანი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		გიორგი ფურცხვანიძე		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		დავით მესხი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის მაგისტრი

დანართი 1.2 - ელექტრიკოსი - IV საფეხური

პროგრამის სახელწოდება:		ელექტრიკოსი -IVსაფეხური		
№	მოდული/სილაბუსი	სახელი, გვარი	სტატუსი(პროფ. განათლების მასწავლებელი, მოწვეული სპეციალისტი,პრაქტიკის ინსტრუქტორი)	კვალიფიკაცია / მუშაობის გამოცდილება, რის გამოც შეირჩა ამ კომპონენტის ხელმძღვანელად
1	ინგლისური ენა	ნინო ჟორჟოლიანი	მოწვეული სპეციალისტი	ინგლისური ენის მასწავლებელი.
2	ზოგადი ელტექნიკა	ლალი ზივზივაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ნატალია გვეტაძე		ინჟინერიის მაგისტრი
3	ელექტროტექნიკური მასალები	ზადრი ზივზივაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
4	ელექტრული დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები	შორენა ფხაკაძე	მოწვეული სპეციალისტი	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის აკადემიური დოქტორი
5	საწარმოების,საოფისე და საცხოვრებელი ფართების, ელექტრომონტაჟი და გაწყობა	ომარ ზივზივაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ჯიბო კაპანაძე,		ინჟინერ-ელექტრიკოსი
6	მანწილებელი ქსელები და სატრანსფორმატორო პუნქტები	ფრიდონ ახალაძე	მოწვეული სპეციალისტი	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის აკადემიური დოქტორი
7	მენეჯმენტის საფუძვლები	ქეთევან ცხაკაია	მოწვეული სპეციალისტი	მენეჯერი, საწარმოო ეკონომიკის მართვის სპეციალისტში
		რევაზ ფილია		ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
9	სასწავლო პრაქტიკა	ზაზა პაპიძე,	მოწვეული სპეციალისტი	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ნატალია გვეტაძე		ინჟინერიის მაგისტრი
		ჯიბო კაპანაძე,		ინჟინერ-ელექტრიკოსი
		ირმა ქათამაძე		ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის აკადემიური დოქტორი



		შორენა ფხაკაძე		ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის აკადემიური დოქტორი
10	საწარმოო პრაქტიკა	ზაზა პაპიძე	მოწვეული სპეციალისტი	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის აკადემიური დოქტორი

**დანართი 1.3 სავალი ნაწილის ტექნიკოსი - IV საფეხური**

პროგრამის სახელწოდება:		სავალი ნაწილის ტექნიკოსი- IVსაფეხური		
№	მოდული/სილაბუსი	სახელი, გვარი	სტატუსი(პროფ. განათლების მასწავლებელი, მოწვეული სპეციალისტი,პრაქტიკის ინსტრუქტორი)	კვალიფიკაცია / მუშაობის გამოცდილება, რის გამოც შეირჩა ამ კომპონენტის ხელმძღვანელად
1	ინგლისური ენა	თინათინ ციბაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინგლისური ენის მასწავლებელი
2	ზაზა	ზაზა ჟორჟოლიანი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ნანი ცქიფურიშვილი		ინჟინერიის მაგისტრი
3	ავტომობილების ტრანსმისიის, სავალი ნაწილისა და მართვის სისტემების მოწყობილობა	ფრიდონ გოგიაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ისიდორე კაჭახიძე		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
4	ავტომობილის ტექნიკური მომსახურება	ჯუმბერ ჩოგოვაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		თეა ცქიფურიშვილი		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
5	ავტომობილების ტრანსმისიის, სავალი ნაწილისა და მართვის სისტემების დიაგნოსტიკა და სადიაგნოსტიკო მოწყობილობებიავტომობილის სერვისის ინფორმაციული მომსახურება	გოჩა ლეკვეიშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
6	ავტომობილის სერვისის ინფორმაციული მომსახურება	ალექსანდრე ლომიძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
7	ურთიერთშეცვლადობა და ტექნიკური გაზომვები	გია დადუნაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ირაკლი დადუნაშვილი		ინჟინერიის მაგისტრი (დოქტორანტი)
8	ავტომობილის საექსპლუატაციო თვისებები და მოძრაობის უსაფრთხოება	ჯუმბერ ჩოგოვაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
9	ავტომობილების ტრანსმისიის, სავალი ნაწილისა და მართვის სისტემების რემონტი	ისიდორე კაჭახიძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
10	ლითონმცოდნეობა და საზეინკლო საქმე	მერაბ ირემაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		სიმონ პაპიძე		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
11	მეწარმეობა და ტრანსპორტის	იზოლდა დანგაძე	მოწვეული სპეციალისტი	მუშაობის გამოცდილება,



მენეჯმენტი	ფიქრია ხარბიშვილი	ეკონომიკის მაგისტრი	
12	სასწავლო პრაქტიკა	იზოლდა დანგაძე,	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ისიდორე კაჭახიძე,	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		გოჩა ლეკვეიშვილი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ლალი გოგისვანიძე	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ჯუმბერ ჩოგოვაძე	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
13	საწარმოო პრაქტიკა	ფ.გოგიაშვილი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ჯუმბერ ჩოგოვაძე	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		ისიდორე კაჭახიძე,	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		გოჩა ლეკვეიშვილი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

**1.4 სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი - IV საფეხური**

პროგრამის სახელწოდება:		სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი - IV საფეხური		
№	მოდული/სილაბუსი	სახელი, გვარი	სტატუსი(პროფ. განათლების მასწავლებელი, მოწვეული სპეციალისტი,პრაქტიკოსი ინსტრუქტორი)	კვალიფიკაცია / მუშაობის გამოცდილება, რის გამოც შეირჩა ამ კომპონენტის ხელმძღვანელად
1	ინგლისური ენა	თამარიწულაია	მოწვეული სპეციალისტი	ფილოლოგიის მაგისტრი, ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში
2	სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები	გია დადუნაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი.
		ირაკლი დადუნაშვილი		ინჟინერიის მაგისტრი.
3	კომპიუტინგის საფუძვლები	გია დადუნაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი.
4	სამაცივრო ტექნიკის საფუძვლები	გიორგი ნიქაბაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი.
5	სამაცივრო ტექნიკის მომსახურება	დავით ცაგარეიშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი.
6	დამცავი, მზომი მაკონტროლებელი ავტომატური ხელსაწყოები	ოთარ სესიკაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი.
7	სამაცივრო მანქანების ელექტრული მოწყობილობები	დავით ცაგარეიშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი.
8	ხაზვა და ნახაზის კითხვა	ნანი ცქიფურიშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერ - მექანიკოსი,
9	სამაცივრო მასალები და აგენტები	ოთარ სესიკაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერიის აკადემიური დოქტორი.
		ირაკლი დადუნაშვილი		ინჟინერიის მაგისტრი.



10	გარემოს დაცვა და უსაფრთხოება	დავით ცაგარეიშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერის აკადემიური დოქტორი.
		ირაკლი დადუნაშვილი		ინჟინერის მაგისტრი,
11	სასწავლო პრაქტიკა	დავით ცაგარეიშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერის აკადემიური დოქტორი.
		ოთარ სესიკაშვილი		ინჟინერის აკადემიური დოქტორი.
		შალვა ცაგარეიშვილი		ინჟინერის მაგისტრი.
12	საწარმოო პრაქტიკა	დავით ცაგარეიშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერის აკადემიური დოქტორი.
		ოთარ სესიკაშვილი		ინჟინერის აკადემიური დოქტორი.
		გიორგი ნიქაბაძე		ინჟინერის აკადემიური დოქტორი.

**1.5 სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი - IV საფეხური**

პროგრამის სახელწოდება:		სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი-IVსაფეხური		
№	მოდული/სილაბუსი	სახელი, გვარი	სტატუსი(პროფ. განათლების მასწავლებელი, მოწვეული სპეციალისტი,პრაქტიკის ინსტრუქტორი)	კვალიფიკაცია / მუშაობის გამოცდილება, რის გამოც შეირჩა ამ კომპონენტის ხელმძღვანელად
1	ინგლისურიენა	თინათინ ციბაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინგლისური ენის მასწავლებელი
2	კომპიუტერული ტექნოლოგიები	ნანაშაკაია	მოწვეული სპეციალისტი	5 წლისსამუშაო გამოცდილება აწსუ-ის კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპატამენტში საინფორმაციო ტექნოლოგიებში მასწავლებლის თანამდებობაზე.
3	ბიზნეს მათემატიკის საწყისი კურსი	ზურაბ ბართაია	მოწვეული სპეციალისტი	მათემატიკის აკადემიური დოქტორი
4	აგრობიზნესისადამეწარმეობის საფუძვლები	დალისილაგაძე	მოწვეული სპეციალისტი	ბიზნესისმართვის აკადემიურიდოქტორი
5	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	ზეინაზიახალაძე	მოწვეული სპეციალისტი	ფინანსური აღრიცხვის ბუღალტერი
6	კონკურენციააგროსასურსათოსექტორში.	მანანაშალამბერიძე	მოწვეული სპეციალისტი	აგრობიზნესის მენეჯმენტის სერთიფიცირებული სპეციალისტი
7	აგროსაწარმოთა დაგეგმარება	დალისილაგაძე	მოწვეული სპეციალისტი	ბიზნესისმართვის აკადემიურიდოქტორი
8	აგრობიზნესისკომუნიკაციისსაფუძვლები	მანანაშალამბერიძე	მოწვეული სპეციალისტი	აგრობიზნესის მენეჯმენტის სერთიფიცირებული სპეციალისტი



9	სასურსათო უსაფრთხოება და სურსათის უვნებლობა.	ზეინაბი ახალაძე	მოწვეული სპეციალისტი	ინჟინერ - ტექნოლოგი
9	სასწავლო პრაქტიკა	მანანაშალამბერიძე	მოწვეული სპეციალისტი	აგრობიზნესის მენეჯმენტის სერთიფიცირებული სპეციალისტი
		ზეინაბი ახალაძე		ფინანსური აღრიცხვის ბუღალტერი
		ჭელიძე ლუბუმი		ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
		თემური ლეშკაშელი		ბიზნესისა და მართვის მაგისტრი
		დალისილაგაძე		ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი
10	საწარმოო პრაქტიკა	მანანაშალამბერიძე	მოწვეული სპეციალისტი	აგრობიზნესის მენეჯმენტის სერთიფიცირებული სპეციალისტი
		ზეინაბი ახალაძე		ინჟინერ - ტექნოლოგი
		დალისილაგაძე		ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი

1.6 აგროლოჯისტიკის ოპერატორი - IV საფეხური

პროგრამის სახელწოდება:		აგროლოჯისტიკის ოპერატორი-IV საფეხური		
